წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. სამშაბათი, 4 ოქტომბერი

საქართველო

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] ბულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ძ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 451 ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 451

ღრმათ დამწუხრებულნი ძმები: ივანე, დავით, მიხეილ და კლემენტი ბესარიონის ძენი ქუთათელაძეები, დები: ნინა ჭანტურაია-სი, ოლღა (გოგონა) სვიშჩოვისა და მანია ქუთათელაძე, რძლები: ნატალია თედორეს ასული, დარიკო ივლიანეს ასული, ვასასი სევასტის ასული და ლიუბა სიმონის ასული, მამიდაშვილები: დარიკო და ლოლა გიორგის ასულნი კეჟარაძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 3 ამა ოკტომბერს მოასვენეს

პეტროგრადიდან **პოდპოლკოვნიკი**

ალექსანდრე (საშა) ბესარიონის ძე ქუთათელაძე,

რომელიც გარდაიცვალა ბრძოლაში მიღებულ ჭრილობისაგან, გერმანიის ფრონტზედ. ორშაბათს, 5 ამავე თვეს ნაშუადღევის 3 საათზედ კი არის დანიშნული გამოსვენება თავის სახლიდან ხონის მაცხოვრის ეკლესიაზედ, სადაც იქნება დაკრძალული.

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ექიმ

სიმონ სპირიდონის ძის ქვარიანის

სულის მოსახსენებლათ, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში, რასაც აუწყებენ განსვენებულის ჭირისუფლები ნათესავებსა და მეგობრებს.

პანაშვიდი დაიწყება დილის $11^1/_2$ საათზე.

ხუთშაბათს, 6 ოკტომბერს, ქალაქის თეატრში

გაიმართება კონცერტი

მოსკოველ ცნობილ სამბავშთა **ვილკომირსკების**

„ტრიო“.

შემდეგი პროგრამით:

1 განყ. შოპენის პიესა—„ტრიო“ d-moll., ჩაიკოვსკის ვარიაციები „როკოკოს“ თემაზე დაუკრავენ ვიოლონჩელზე. **2 განყ.** პიესა სკრიაბინისა—ნოკტიურნ, რახმანინოვი—მელოდია ტარტინი, სონატა—Le trille du diable დაუკრავენ სკრიპკაზე. — დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

328—1—2

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ზინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის **9—12** საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ი. ჩარეიშვი** ქალაქ. საავთმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმმა **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ბუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. ო.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის სელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩევაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სხვნზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაკვეთებს და ეოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ეკვეთსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასად გამოგზანილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად ადარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. ჯოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ვაგზალზე მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

ბეგია **მ. მ. ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფიდიბოვის მადზიის პირდაპირ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 3 ოქტომბრიდან

ნუ მოისურვებ ცოლსა მოყვასისა შენისასა

ძლიერი თანამედროვე დრამა 5 ნაწილად. მოზეკუსინისა, პანოვისა და დისენკოს მონაწილეობით.

მიმდინარე ამბები **ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

მეგობრები ჩხუბობენ

სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან 6 ოქტომბრიდან

რა თავდავიწყებით, რა რიგ უზომოდ სურდა მას

დრამა 4 ნაწილად **გედნიერება** დრამა 4 ნაწილად

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

პირველი უსიამოვნება სახუმარო.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 3 ოქტომბრიდან

მიმდინარე ამბები **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები

სარკის შკაფის საიდუმლოება

თანამედროვე დრამა ხუთ დიდ ნაწილათ ჯაშუშთა ცხოვრებიდან. ამერიკელ საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 6 ოქტომბრიდან

სიცოცხლე სიცოცხლეში

ძლიერი დრამა 6 ნაწილად ჟორჟ ონეს რომანის მიხედვით. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა საგენტოსაგან)

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი საგან.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 2 ოქტომბერი. 30 სექტემბერს საღამოთი სკრობოვოს მიდამოებში სარტილერიო სროლის შემდეგ ჩვენი პირველი ხაზის თხრილებზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ დიდად დაზარალებული მტერი კონტრიერიშით უკუვაქციეთ. კორიტნიცის ჩრდილოეთით უკმეხი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო მოწინააღმდეგის თხრილები, ორი ტყვიის მფრქვეველი და ტყვეები მტრის ერთი იერიში მოვიგერიეთ და მტერი დიდად დავაზარალეთ. მისშჩუკთან მტერს იერიშის მოტანა სურდა, მაგრამ სროლის წყალობით ხელი ავაღებინეთ ამ განზრახვაზე. უკუვაქციეთ აგრეთვე მტრის ძალები, რომელთაც კირლიბაბასთან და დორნავატრასთან და აგრეთვე დობრუჯაში იერიშები მოჰქონდათ.

კავკასიის ასპარეზი.

არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

შავი ზღვა.

29 სექტემბერს ბოსფორის ახლოს ჩვენი წყალქვეშა „ტიულენი“ ოსმალეთის შეიარაღებულ სამხედრო ტრანსპორტს, „როდოსტო„ს (6000 ტონის წყალწყვისა) შეხვდა და ბრძოლა გაუმართა და, მიუხედავად იმისა რომ იგი ბრძოლაში დაზიანდა, მაინც მივიდა სტამბოლში. წყალქვეშას უფროსობდა უფროსი ლეიტენანტი ნიტიკინი, ხოლო ოსმალეთის ტრანსპორტს გერმანელი აფიცერი.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარი ბანაკის საღამოს ცნობა საფრანგეთიდან.

ანკრის სამხრეთით და განსაკუთრებით გედეკურთან მატენლუშთან და კურსელეტის ჩრდილოეთით მთელი დღის განმავლობაში გერმანელები მკაცრად ისრონენ ზარბაზნებს. ბულვერგიმოს ჩრდილო აღმოსავლეთით გერმანელები ჩვენ თხრილებში შემოცვივნას ლამობდნენ, მაგრამ სროლით გავდევნეთ.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობა სოლუნიდან. 30 სექტემბერს ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა პროსენიკდა პოლევოს მიმართულებით წინ წაიწიეს. ჩვენი ჯავშნოსანი ავტომობილები აღმოსავლეთით დასაზვერათ წავიდნენ და მიაღწიეს ორი გზის, სერესდემირჰისარასა და სერეს-სოლუნის შესართავთან. ნახორთან დოირანის ბრძოლის პირზე დოლჯელის ჩრდილოეთით ჩვენ მოულოდნელად თავს დავესხით მტერს, ხანმოკლე მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ მტერი გაიქცა, ბრძოლის ველზე 50 მოკლული დასტოვა.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. ოფიციალი. პარასკევს სერბიელებს მთელ თავის ბრძოლის პირზე იერიშები მიჰქონდათ მტერზე. რამდენიმე თხრილი დაიპყრეს, მოიგერიეს ბულგართა კონტრიერიშები და 10 კაცამდე დაატყვევეს, მათში ერთი აფიცერია. ჯერ უკვე ცხადია ბულგარელებს მონასტირის აუცილებელი დაცვა გადაუწყვეტიათ და ძალიან ადვილი შესაძლებელია წინსვლაც დაიწყო.

პარიზი. 1 ოქტომბერი. შუა დღის ოფიციალური ცნობა. სომას ჩრდილოეთით ფრანგები ეპინდემლასიზის მიმართულებით წინ მიიწევენ. სამხრეთით კი ფრანგთა აბლენკურის პოზიციებზე გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ძლიერი იერიში მიიტანეს; სოფლის ერთი ნაწილი და მის ჩრდილოეთით მდებარე თხრილები გერმანელები დაიპყრეს, მაგრამ იქიდან კონტრიერიშით მაშინვე განდევნილ იქნენ. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

მფრინავთა მოქმედება. ფრანგის მფრინავებმა ბუზიესა და არდელში ყუმბარები ჩამოყარეს.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობა შუამდინარედან. მდ. ტიგრის ხაზზე ჩვენმა მფრინავებმა მარჯვეთ დაუშინეს მტრის ბანაკს ჰუსსაბის ფორტაში (დუჯაიდის რედუტიდან თერთმეტი მილით სამხრეთ აღმოსავლეთით) მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ მტერი აყრილიყო და სადაც გამქრალიყო.

რომი. 1 ოქტომბერი. 30 სექტემბერს პაზუბიოზე მონტესინილსა და მონტესკარნოს შუა და აგრეთვე მონტებოიტთან ავსტრიელთა რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. სეტტეკროჩისა და ბოიტეს შუა ავსტრიელთა იერიშები მოვიგერიეთ და წინაც წავიწიეთ და 32 კაცი დავატყვევეთ. პოზინოზე საარტილერიო ბრძოლა მოხდა. პონტებენთან და ფოლასთან ავსტრიელთა არტილერია იტალიელთა პოზიციებს მედგრათ უშენდა. იულიის ალპებზე ცხოველი საარტილერიო ბრძოლა მოხდა. ორი უკანასკნელ დღის განმავლობაში მკაცრ იერიშებს აწარმოებდნენ, განსაკუთრებით კი სოშერისა და გორიცის მიდამოებში ნოვავილლის სამხრეთით. ყველა იერიშები მოგერიებულ იქნენ. ავსტრიელთა ერთი ბატალიონიდან 100 კაცი სოშერთან განადგურდა. კარსოზე ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და პაჩინკას მთას მიაღწია. აქ მათ დაატყვევეს, 400 კაცი, მათში 10 აფიცერი. მდ. იზონკოს ქვედა მიმდინარეობაში მდებარე პაგუიუსა და გრადოს ავსტრიელთა ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენენ: ზარალი უმნიშვნელოა. ადამიანთა მსხვერპლი არა ყოფილა. გორიცასთან ჰაერში მომხდარ ბრძოლის დროს სანამარკოს ახლოს მტრის საფრენი ჩამოვარდა.

სოლუნი. 1 ოქტომბერი. დროებით მთავრობის სამხედრო მინისტრად ზიმბრაკაკისი დაინიშნა, რომელმაც მეამბოხეთა მთავრობის მთელ შემადგენლობასთან დაფიცებულ იქნა. ვენიზელოსი მოკავშირეთა ყველა კონსულმა ინახულა.

ქურნალ-გაზეთებიდან.

სტოკჰოლმიდან ცნობაა, რომ გერმანიის მთავრობას განუზრახავს კანონპროექტი წარუდგინოს რეიხსტაგს ახალი სესხის შესახებ. სესხის რამოდენობა განსაზღვრული იქნება 12 მილიარდი მარკით.

— —

„რუსკი ივანლიდის“ ცნობით, გერმანიის ჯარების მთავარსარდლის ჰნდერბურგს გადაუწყვეტია საპოზიციო ომს თავი დაანებოს და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს. ამისთვის იგი აამოქმედებს ყველა სამხედრო ძალებს, რაც კი მოეპოვება გერმანიასა და მის მოკავშირეებს.

— —

ლონდონიდან ცნობაა, რომ საბერძნეთის მეფის სასახლეში ათინაში დიდი მზადებაა. ფიქრობენ, რომ მეფე დასტოვებს

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი სკრაბოვის მიდამოებში გერმანელებმა ზარბაზნების სროლის შემდეგ მედგარი იერიში მოიტანეს რუსების სანგრებზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. კორიტნიცის ჩრდილოეთით რუსებმა იერიში მოიტანეს გერმანელებზე, დაიპყრეს მათი თხრილები, ხელთ იგდეს ორი ტყვიის მფრქვეველი და ტყვეები. კისლიბაბასთან და დორანა ვატსასთან მოწინააღმდეგეს იერიშები რუსებმა მოიგერიეს.

კავკასიის ასპარეზი. არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი. ანკრის სამხრეთით გერმანელებმა არტილერიის მძლავრი ცეცხლი გაუჩინეს ინგლისელთ, ბულვერგემთან მათი იერიში ინგლისელებმა მოიგერიეს. ეპინდემლაზისკენ ფრანგებმა წინ წაიწიეს. სოფ. აბლენკურის ნაწილი გერმანელებმა იერიშით აიღეს. იერიში მოგერებულ იქნა. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

იტალიის ასპარეზი. ავსტრიელები კვლავ ენერგიულათ მოქმედებენ, მაგრამ დიდ შედეგებისთვის ჯერჯერობით არ მიუღწევიათ.

რუმინიის ასპარეზი. გუშინ ცნობა მხოლოდ დობრუჯიდან მოვიდა, სადაც რუსებს ბულგარელების იერიში მოუგერებიათ. ეს რამდენიმე დღეა რუმინიის ჩრდილოეთ ასპარეზიდან ცნობები არ მოსულა.

მაკედონიის ასპარეზი. გენ. სარაილის ჯარის მარცხენა ფრთაზე სერბიელები შეტევას განაგრძობენ. მდ. სტრუმასთან ინგლისელებმა ბროსენიკისკენ წინ წაიწიეს.

ზღვაზე. შავ ზღვაში რუსის წყალქვეშამ დაატყვევა, ბრძოლის შემდეგ ოსმალეთის გემი და სევასტოპოლში მოიყვანა.

ათინას და წავა ან ლართსაში და ან სხვაგანო.

——

გაზ. „რუს. ვედომოსტის“ სიტყვით გერმანიის შტაბი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუმინიას. რა სურს ამითი მას, შეაჩეროს იმისი აქტიური მოქმედება თუ მთელი ძალღონით ეკვეთოს, გასრისოს და გაანადგუროს მისი ცოცხალი ძალა, ჯერ ძნელი გამოსაცნობია.

——

იმავე გაზეთს ლონდონიდან აცნობებენ ინგლისის პრესის აზრს, რომ თუ გერმანია აწარმოებს წყალქვეშა ნავებით ბრძოლას, ამერიკის ნაპირებთან, ინგლისი მიიღებს ზომებს, რომლითაც დაზარალდება ამერიკის ვაჭრობაო.

——

თუ რამდენათ გაადიდა თანამედროვე ომმა რუსეთის სახელმწიფო ვალი, ამას ვტყობილობთ საკრედიტო კანცელარიის ცნობიდან. ამ ცნობით, 1 იანვარს 1917 წ. სახელმწიფო ვალი იქნება 25 მილიარდი და 221 მილიონი მანეთი, მისი სარგებელი უდრის 721 ათას მანეთს წელიწადში.

——

მიუხედავათ მოკავშირე სახელმწიფოების ძალდატანებისა, საბერძნეთის მეფე კონსტანტინემ პრემიერ მინისტრათ მაინც გერმანოფილი პროფესორი ლამბროსი მოიწვია. ლამბროსი შესანიშნავი მჭერმეტყველი ჭკუიანი კაცი ყოფილა. მოკავშირეთა ელჩები მასთან არავითარ დამოკიდებულებას არ იჭერენ

——

საბერძნეთის მთავრობას მოკავშირეთა წარმომადგენლებმა ულტიმატუმი წარუდგინეს. ისინი მოითხოვენ, რომ ყველა ის საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც გერმანოფილობას იჩენენ და არა კეთილ საიმედოთ მიგვაჩნია ჩვენი ინტერესებისათვის, დაუყონებლივ გადაასახლეთო. და თუ სად ამას არ ამბობენ.

——

პარიზიდან ცნობაა, რომ გერმანელებმა ბრძოლის დროს ხმარებაში შემოიღეს ისეთი დამახჩობელი, გაზი რომელიც სრულიად არ მოჩანს. ამ საშვალებით ისინი დიდ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს, რადგან ამ უკანასკნელს არავითარი საშვალება არა აქვს მის წინააღმდეგო.

——

გერმენიის სოც. დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტს“-ი როგორც ირკვევა დაუხურავს ბერლინის კამენდატს. დახურვის მიზეზი ყოფილა ის მეთაური, რომელიც ეხებოდა საბიუჯეტო კომისიის სხდომას და მოითხოვდა პასუხის მგებელ სამინისტროს.

——

დასავლეთის ასპარეზზე ფრანგ-ინგლისელთა შეტევა შეჩერდა. ეს მიზეზია გერმანელების მხრივ მკაცრი კონტრიერიშებისა.

——

აღმოსავლეთის ფრონტის შესახებ გალიცია ბუკოვინიდან ცნობა არაა. იქ, როგორც ვიცით დიდი ბრძოლა იყო. თუ რა შედეგი მოჰყვა მას არა ვიცით რა.

——

აღმოსავლეთის ფრონტის შესახებ გალიცია ბუკოვინიდან ცნობა არაა იქ, როგორც ვიცით, დიდი ბრძოლა იყო თუ რა შედეგი მოჰყვა მას არა ვიცით რა.

——

საბერძნეთში ოსმალეთის ჯარი ძლიერდება. მას მიემხრო მახტიარების ხანები თავიანთი თემებით. ოსმალები სპარსელებს ასწავლიან სამხედრო წესებს, სწვრთვნიან და ადგენენ რეგულიარულ ჯარებს.

——

მოკავშირეთა ფლოტის ადმირალმა საბერძნეთის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა. მოსთხოვა ფლოტის იარაღის აყრა და ფორტების ჩაბარება.

——

გერმანიის წყალქვეშა ნავები ყოველდღე სძირავდა, როგორც მათ მოწინააღმდეგე, ისე ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს. ყველაზე მეტი ინგლისის გემები იღუპება. ზღვებზე მიმოსვლა მეტად სახიფათო შეიქნა.

——

მოკავშირეებმა ფლოტით და საფრენებით მკაცრი იერიშები მიიტანეს ბულგარეთის მიერ დაპყრობილ საბერძნეთის ზღვის პირის ქალაქ ცვალაზე. დაანგრიეს ორი ციხე ბურჯი: კინალი და კალამიტა

სამხედრო მიმოხილვა

მაკედონიის ასპარეზიდან მოსული გუშინდელი ცნობა ასე თავდება: „როგორც ეტყობა ბულგარელებს გადაუწყვეტიათ გამაგრდნენ, მონასტირი დაიცვან და ადვილი შესაძლებელია ბულგარელები ახლო მომავალში შეტევასაც დაადგენენო“. რამდენად გამართლდება ეს წინასწარი აზრი რასაკვირველია ამის თქმა ძნელია, მაგრამ სტრატეგიული მდგომარეობა ბულგარელთა ჯარისა მაკედონიაში ისეთია, რომ აუცილებელია ბულგარლებმა ბოლო უნდა მოუღონ სერბიელთა ენერგიულ მოქმედებას. ჩვენ თავის დროზედ აღვნიშნეთ, რომ სერბიელების წინსვლა მონასტირის მიმართულებით ვერ იმოქმედებს სათანადოთ ბრძოლის მსვლელობაზე ბალკანეთში, ვინაიდგან ეს ასპარეზი დაშორებულია დობრუჯა-სოლუნის ვიწრო ყელზე მაგრამ თუ სერბიელებმა განაგრძეს წინსვლა, ბოლგარეთის ჯარის უპირატესობა შემცირებულ იქნება; საქმე იმაშია, რომ მას აქეთ, რაც ალბანეთი და ჩრდილოეთი ეპირი ერთის მხრით და მეორეს მხრით სოლუნის აღმოსავლეთით მდებარე საბერძნეთის პროვინცია, ნავთ სადგური კავალითურთ, მათ ხელში ჩაიგდეს, სარაილის ჯარს გარს შემოერტყა ბულგარელ-ოსმალთა ჯარი.

თუ რომ სერბიელებმა ქ. მონასტირი აიღეს და საერთოდ წან წაიწიეს დასავლეთ მაკედონიაში, მაშინ გენ. სარაილის ჯარის მარცხენა ფრთა განთავისუფლდება, და ეს კი ნებას მისცემდა ამ ჯარს უფრო ფართო მოქმედებისას, რაც ფრიად არა სასურველია მთელ ცენტრალ კოალიციის მთავარ სარდლობისათვის.

ამნაირად თითქოს სრულდება ის დაპირება, რაიცა აღნიშნული იყო გერმანიის ჰაეროპლანებიდან საბერძნეთში ჩამოყრილ პროკლამაციებში. გერმანელები არწმუნებდნენ ბერძნებს „რომ მოკლე ხანში სძბერძნეთის საზღვარზე 200000 კაცს შევაგროვებთო. თუ ეს მოხდა, რასაც ზემოხსენებული დეპეშა გვაფიქრებიებს, მაკედონიაში მოწინააღმდეგეთა ძალთა განწყობილება ძირიანად შეიცვლება გერმანელთა სასარგებლოდ ეს კი დიდი ხნით დაგვიანებს მოკავშირეთა მიერ განზრახულ ბალკანეთის გადაჭრას და გერმანიაზე ოსმალეთის მოწყვეტას.

შვერელი.

საბერძნეთის ტრაგედია.

მსოფლიო ომმა, როგორც სხვა ბალკანეთის სახელმწიფოების, ისე საბერძნეთის ყოფნა არყოფნის საკითხიც წამოაყენა.

აქლემები წაიკიდენ და კოზაკი შვაში გაჭყლიტესო, სწორეთ ეს მოუვიდა ბელგიას, სერბიას, ჩერნოგორიას, ალბანეთს, პოლონეთს და სხვა წვრილ ქვეყნებს, რომლებიც უღმერთოდ გაისრისენ.

რუმინია ორი წლის ყოყმანის შემდეგ თავის ნებით მოჰყვა ულმობელ ომის ბორბალს და თუ როგორ გადურჩება მას ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს. ახლა ჯერი მიდგა საბერძნეთზე, ამ ძველი კულტურის კერაზე.

ეს ქვეყანა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდა ოსმალეთის უღელქვეშ, მაგრამ, როგორც ბალკანეთის სხვა პატარა ქვეყნები, იგიც გასულ საუკუნეში თავს აღწევს მას. ეროვნულათ გამოფხიზლებული საბერძნეთის ერი, თავადი იპსილანტის მეთაურობით, აფრიალებს თავისუფლების დროშას ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ და ევროპის სახელმწიფოთა თანაგრძნობით და დახმარებით აარსებს სამეფოს.

საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა თვით ინგლისის უდიდებულესი შვილი გენიოსი ბაირონიც.

მაგრამ საბერძნეთის განთავისულება არ იყო სრული. ბერძნებმა ვერ მოახერხეს რომ მთლიანათ აღედგინათ სამშობლო. ახალ საბერძნეთის სამეფო საზღვრებს გარედ დარჩენ ბერძენთა კუნძულები და პროვინციები, რომელიც ისევ ოსმალეთი ბატონობდა.

ათეული წლების განმავლობაში ბერძენ მამულიშვილთა ზრახვას შეადგენდა მათი შემოერთება. მათ რამდენჯერმე სცადეს კიდეც ეს, მაგრამ ვერ შესძლეს.

ოცოდოდე წლის წინათ ოსმალეთთან ომის დროს ბერძნებმა კინალამ ისიც დაჰკარგეს, რაც ჰქონდათ. ოსმალეთის ჯარები შეიჭრენ თესალიაში, დაიპყრეს და საბერძნეთს მოსპობას უპირებდენ, რომ დიდი სახელმწიფოები არ დახმარებოდენ და არ ეხსნათ განსაცდელისაგან შემდეგ კი ბერძნებმა ისარგებლეს ოსმალეთის გაჭირვებით და როგორც იქნა კუნძული კრიტოსი შემოიერთეს.

აი, ამ კუნძულმა კრიტოსმა მისცა საბერძნეთს ის სახელ განთქმული სახელმწიფო მოღვაწე კაცი ვენიზელოსი, რომელსაც „საბერძნეთის ბისმარკს“ უწოდებენ.

მას შემდეგ რაც ვენიზელოსი მოექცა საბერძნეთის სამეფოს მართვა გამგეობის სათავეში, ბერძნებს ბედმა გაუღიმა და მათი გაერთიანების საქმე მორიგ საკითხათ გადიქცა.

ვენიზელოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბალკანეთის იმ წვრილ სახელმწიფოთა კავშირის შექმნაში, რომელიც განხორციელდა რუსეთის დიპლომატიის რჩევით და დახმარეთით. ხსენებულ კავშირში შედიოდენ: საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია, რომლებმაც შეერთებულ ძალით ოთხი წლის წინათ ომი გამოუცხადეს ოსმალეთს, დაამარცხეს იგი წაართვეს ალბანეთი, მაკედონია, ფრაკია, ეპირი და სხვა... და რადგან შემდეგ ნადაკლის გაყოფაზე ვერ შეთანხმდენ ურთიერთ შორის, საბერძნეთმა, სერბიამ, და ჩერნოგორიამ ომი გამოუცხადა მოკავშირე ბულგარეთს რომელსაც წაერთვა მაკედონია და განიდევნა სალონიკიდან და კავალადან.

დამარცხებულმა ოსმალეთმა კი ისარგებლა რა ამით, უკან დაიბრუნა ფრაკია და ადრიანოპოლი.

საბერძნეთის სამეფო, მცხოვრებთა რიცხვით და მიწაწყლით გადიდდა ერთი ორათ. ბერძენ მიმულიშვილებს ოცნებით ეხატებოდა დიდი საბერძნეთი, რომლის დედაქალაქათ ძველებურათ უნდა გამხდარიყო კონსტანტინეპოლი.

ამ დროს იფეთქა ომმა რომელმაც ბასამარა ოცნებანი და ზრახვანი უკეთეს მომავალზე, არამც თუ მარტო საბერძნეთის, არამედ სხვებისაც.

მსოფლიო ომმა დაამხო თანამედროვე კულტურით უაღრესათ აყვავებული ბელგია ახლათ აღორძინებული სერბია და მამაცი ჩერნოგორია მოსპო მათი დამ.

„დედა ენა“ „გუნების კარის“ აპოლოგეტი და „განათლების“ ია ნარიძე.*)

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენი ლიტერატურისა და პრესის განვითარებას, იგი ნათლად ხედავს, რომ ჩვენში საზოგადოთ საღი კრიტიკა არ არსებობს. თუ ვინმე შეეხო რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს, იგი, იმის ნაცვლათ, რომ გაარჩიოს ის ობიექტიური თვალსაზრისით, აღნიშნოს მისი, როგორც უარყოფითი ისე დადებითი მხარეები და დაასაბუთოს კიდეც ეს, მისდგება და ან ხოტბა ქებას შეასხმას და ცამდე აიყვანს ნაშრომსა და მის ავტორს და ან ლანძღვა-თრევით აავსებს და მიწასთან გაასწორებს მას. ხშირად ამასაც არ სჯერდება და მიმართავს ინკვიზიტორულ საშუალებას: მოუწოდებს, რომ ნაშრომი იგი, მავნებელია, არ იყო ღირსი დაბეჭდვისა და არ უნდა გავრცელდესო. და ეს ხდება ჩვენს დროში, როდესაც არამც თუ საშუალო საუკუნოების ინკვიზიცია, არამედ წინასწარი ცენზურაც კი მოსპო.

ეს თუ ასეა საზოგადოთ ლიტერატურულ შრომის შესახებ, კერძოთ, პედაგოგიური ნაწარმოებნი ხომ უფრო უდიერ და ულმობელ დევნას გინიცდიან, განსვენებულ მოღვაწე პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს გარდა.

ყოველგვარ ცდას, რომ შედგენილ იქმნას ახალი დროის შესაფერი ქართული სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები, რათა მით გაუადვილდეს ქართველ მასწავლებლებს და მოწაფეებს ელემენტარული პირველ-დაწყებითი გაკვეთილებისა და სათანადო პროგრამის გავლა, წინ ეღობება იაკობ გოგებაშვილის კლევრეტების და ბრძათ თაყვანისმცემლების განგაში, როგორც სიტყვიერი ისე ბეჭდვითი.

ეს პირები ისე გაფანატიკოსდენ, რომ არამც თუ მხარს უჭერენ ახალი მეთოდით, ახალი წესით და ახალი მასალით ახალ ქართულ სახელმძღვანელოების შედგენა გამოცემას, არამედ თვით იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებშიაც არ სურდათ აქამდე შეეტანათ რაიმე ცვლილება და გაუმჯობესება.

იმდენათ უდრეკია მათი ფანატიკოსობა, რომ ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და არავითარ ანგარიშს არ უწევენ არც პირობების ცვლილებას, არც ჩვენი ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებას და არც საღი გონების კარნახს. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ისინი აყენებენ ყოველგვარ კრიტიკის გარეშე და ავიწყდებათ, რომ ჩვენი მე-XIX საუკუნის პედაგოგიკის მამათ მთავარი არ მდგარა დროისა, გარემოებისა და პირობების გარეშე. მას შემდეგ, რაც მას ჩვენმა ცხოვრებამ უკარნახა ჩვენი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა, გონებაში ჩაესახა მათი გეგმები და განახორციელა კიდეც, ბევრი რამ შეიცვალა.

ჩვენ არ უარჰყოფთ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს და მისი სახელმძღვანელოების დადებითი მხარეს, მაგრამ ნუ თუ უკუნითი უკუნისამდე მარტო ისინი უნდა დარჩეს ქართველი ერის ზოგადი თაობის დაწყებითი სწავლის საფეხურებათ? ეს ხომ გაყინვა იქნებოდა ერთ წერტილზე? მაშინ ხომ უნდა უარყოთ წინმსვლელობა? მაშ რატომ ჯიუტობენ ასე ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ფანატიკოსი დამცველები ბ.ბ. ლ. ბოცვაძე, ია ნარიძე და ძმანი მათნი. მხცოვანმა პედაგოგმა იმიტომ დასტოვა ანდერძათ, რომ მისი სახელმძღვანელოების შემოსავლიდან ყოველწლიური დახმარება მისცემოდა „სამეცნიერო პედაგოგიურ“ ჟურნალ „განათლებას“, რომ ეს უკანასკნელი იმავე სახელმძღვანელოების ხოტბა ქების და სხვა ავტორების სახელმძღვანელოთა ლანძღვა-თრევის და დაგმობის იარაღათ გაეხადნათ? არა, ჩვენ უკეთესი აზრისა ვართ იაკობ გოგებაშვილზე, ვიდრე მისი ბრმა თაყვანისმცემლები, რომელნიც დათვურ სამსახურს უწევენ თავიანთ მასწავლებელს მით, რომ დაუჩემებიათ: ი. გოგებაშვილის „დედა-ენასა“ და „ბუნების კარს“ გარდა ქართული ენის სხვა სახელმძღვანელო საქართველოში არ უნდა ჰაჰანობდესო.

აი, ახლაც ჟურნალ „განათლების“ მე-5 და 6 №-ში ბ-ნი ია ნარიძე მთელ 29 სვეტზე გამოჭიმულ წერილში სათაურით „ჩემი აზრი გუთნის შესახებ“, იმის მტკიცებას უნდება, რომ ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ყოვლად უნაკლულო და გენიოსური ნაწარმოებია და „გუთანი“ კი ყოვლად უვარგისი, რომელიც უნდა განიდევნოს სკოლებიდან და ოჯახებიდანაც. და იმის ნაცვლად, რომ საბუთებით დაემტკიცებია ბ-ნ ია ნარიძეს, თუ რატომაა „გუთანი“ ყოვლად უვარგისი, ჯერ იმეორებს ათასჯერ გადაღეჭილ აზრებს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში უნდა ტრიალებდეს ეროვნული სული, რომ ის აუზი, საიდანაც უნდა იკრიფებოდეს მათი მასალა არის ეროვნული ლიტერატურა, რომ ხსენებული სახელმძღვანელოები თანდათანობით უნდა უღვიძებდეს მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარულსო. შემდეგ იგი თავის დაუფიქრებელ მრავალ სიტყვაობაში ამცირებს ჩვენს მასწავლებლებს და დასასრულ კი მისი უვიცობა ლებს ბოლოს ქამდე, რომ მოჰყავს კარაზინის „Сѣрый бродяга“ და მისი მოჩვენება ვითომდა თარგმანი „მგლის თავგადასავალი ზამთარში“, იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს უკანასკნელი ვითომდა უვარგისი თარგმანი მოგვითვესებია ჩვენს სახელმძღვანელო „გუთანში“ ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ პასუხი გავცეთ „განათლების“ მესვეურებს.

ჩვენ ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ვწუხვართ, რომ აქა იქ განსვენებულ მცხოვან მოღვაწე პედაგოგის ი. გოგებაშვილის შესახებ არა სასიამოვნო შენიშვნები გვექნება, მაგრამ ეს ისევ მათ უნდა დაბრალდეს, ვინც, ვიმეორებთ დათვურ სამსახურს უწევს მას, მით, რომ იცავენ რა მის სახელმძღვანელოებს უმართებულოთ და უკადრისათ იბრძვიან სხვათა წინააღმდეგ.

მას აქეთ, რაც ი. გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნებისკარი“ დაიბეჭდა, ორმოც წელიწადზე მეტია. ამ ხნის განმავლობაში გამოყოფდა თუ არა თავს რომელიმე სხვა ავტორის ქართული სახელმძღვანელო, გოგებაშვილის მეოხებით, ჩვენს პრესაში საშინელი შეჩვენების განგაში ასტყდებოდა, მის მაგიერათ, რომ ასეთი მოვლენა სასიამოვნო ფაქტად მიმჩნეულიყო.

პირველ ყოვლისა ახალი ავტორი საქართველოს მოღალატედ უნდა გამოცხადებულიყო, მერე პირველი და გამოჩენილი პედაგოგის შეურაცხმყოფელად და ბოლოს ქართული შკოლის წამხდენათ და გადამგვარებლად.

ასეთი შეჩვენების მსხვერპლად შეიქნა პირველად უთურგაური, გოგებაშვილის წიგნის „კონა“ს გამრჩევი, მიხეილ ნასიძე, რომელმაც ქართული ქრისტომატია შეადგინა, ალექსანდრე ნათაძე ივ. როსტომაშვილი და ალ. მირიანაშვილი, რომელთაც რაღაც პატარაპატარა პირველ საკითხავი წიგნები შეადგინეს ანბანის მიყოლებით. ვერ ასცდა ასეთსავე განწირულებას ვერც „წყაროს“ შემადგენელი, თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებელი—არისტოტელ ქუთათელაძე.

ჩვენც ამასვე მოველოდით გოგებაშვილისაგან, მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, მოლოდინი გაგვიცრუვდა: ჩვენს „გუთანს“ გამოსვლისთანავე ნიჭიერი და საქმით და არა პირადობით დაინტერესებული პედაგოგებს და პუბლიცისტების წრფელი საკრიტიკო წერილები დაჰყვა: ესენი საერთოდ სახელმძღვანელოს იწონებდენ, მისი მასალების შერჩევას და დალაგებას აქებდენ, სისტემა მოსწონდათ; მხოლოდ ორი თუ სამი სტატია იყო დაწუნებული.

*) ამ წერილის დაბეჭდვა რედაქციას დაუგვიანდა. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდებლობა ამ ომმა, გასრისა პოლონეთი, მოსპო სომხეთი და ძირიდან ფესვამდე შეარყია ყველა მისი მონაწილე დიდ და პატარა სახელმწიფოთა თვით არსებობა მან ჩაითრია თავის წიაღში გარდა სკანდინავიის სახელმწიფოთა და ჩინეთისა ევროპისა და აზიის ყველა სახელმწიფოები და ვერც საბერძნეთი ასცდა მას.

ორ დიდ ბანაკათ გაყოფილ მეომარ სახელმწიფოთა თითეული მხარე ცდილობს რათაც უნდა დაუჯდეს მიიმხროს და ომში ჩაითრიოს ნეიტრალური სახელმწიფოები ამ ცდის მსხვერპლი შეიქნა ბელგია, სერბია, ჩერნოგორია და რუმინია.

მესამე წელიწადია, რაც ორ ცეცხლშუა ჩავარდნილი პატარა საბერძნეთის ფრთხილი და შორს მჭვრეტელი მეფე კონსტანტინე „თავგამოდებით“ ცდილობს განსაცდელს ააცილოს თავი და თავისი სამეფო. მას თვალ წინ უდგას ტახტებიდან გადმოყრილი და ლტოლვილნი მეფენი ბელგიის სერბიისა და ჩერნოგორიის და დამხობილი მათი სამეფონი.

გერმანიის ნამოქმედარი მას შიშის ზარსა ჰგვრის და ვერა ჰბედავს მის წინააღმდეგ ამხედრებას. და ეს მით უმეტეს, რომ გერმანიის მოკავშირენი არიან ავსტრო უნგრეთს გარდა, მისი მახლობელი მეზობლები ოსმალეთი და ბულგარეთი.

ინგლისი და საფრანგეთი კი დაჟინებით მოითხოვენ მისგან მათ მხარეზე გადასვლას.

ასეთმა გარემოებამ საბერძნეთი გაყო ორ ბანაკათ. პირველი ბანაკს მეთაურობს მეფე კონსტანტინე და მეორეს ვენიზელოსი. მეფე და მისი მომხრეები ერიდებიან ომში ჩარევას, რომ არ დაკარგონ ის მაინც, რაც მსოფლიო ომის გამოცხადებამდე ჰქონდათ. ამის გრანტიას კი ჰპირდებიან მათ გერმანია და მისი მოკავშირენი.

ვენიზელოსი და მისი მომხრენი მოითხოვენ ინგლისს საფრანგეთის და მათი მოკავშირეების მხარეზე გადასვლას და ომის გამოცხადებას პირველთა წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მოკავშირენი ჰპირდებიან მათ საბერძნეთის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოებას, ვიდრე იყო ახლანდელ ომამდი. არც ერთი ბანაკი არ უთმობს ერთმანეთს. მდგომარეობა გამწვავდა, რადგან ერთის მხრივ მოკავშირეებმა დაიკავეს საბერძნეთის მიწა წყალი, სალონიკი და სხვა. გადაიყვანეს თავიანთი ჯარები. გაიკეთეს იქ ბაზა, საიდანაც დაიწყეს ბალკანეთის ოპერაციები. ჩაერიენ საბერძნეთის შინაურ საქმეებში. დაიკავეს მისი ფოსტა ტელეგრაფი, ნავთსადგურები, ეპატრონებიან მის რკინის გზებს, იარაღს ჰყრიან მის ფლოტს და სხვა ასეთი ძალდატანებით მათ სურთ ძალით მიიმხრონ იგი.

მეორეს მხრივ სტრატეგიული მოსაზრებით ბულგარეთის და გერმანეთის ჯარები შემოიჭრენ საბერძნეთის მიწაწყალზე, დაიკავეს რამოდენიმე დიდათ მნიშვნელოვანი ციხე სიმაგრეები, ნავთსადგურები და ქალაქები.

ყოველივე ამან მოსალოდნელი ნაყოფი გამოიღო. ვენიზელოსი სატახტო ქალაქ ათინიდან თავის სამშობლო კუნძულ კრიტოსზე გაიქცა. იქ რევოლიუციონური მთავრობა დააარსა მოხალისეთაგან და დეზერტირ ჯარისკაცთაგან ეგრეთ წოდებული „ეროვნულია რმია“ შეადგინა და მოკავშირეებს მიემხრო.

ამ რიგათ, ამ დიადი განსაცდელის დროს, როდესაც საჭიროა ერის გაერთიანება და ნისი სულის სიმტკიცე, საბერძნეთი ანარქიამ მოიცვა. ბერძენთა ეროვნული მთლიანობა დაირღვა. ძმა ძმის წინაღმდეგ ამხედრდა. მათ შორის უკვე ტეროორი გამეფდა.

ტრაგედია დაიწყო და თუ რითი გათავდება იგი, ამას მომავალი გვაჩვენებს.

ა. ჯაჯანეთელი

სასურსათო ანარქია.

რუსეთის დღევანდელ ცხოვრების ერთი მოვლენა იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. ყურადღებას კი არა, ყოველ ფეხის გადადგმაზე თავის თავად ეჩხირება ადამიანს ცხოვრებაში და მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხად ხდება.

ეს არის მეტის მეტად უდიერი და თითქმის სრულიად უმიზეზო სიძვირე და მისი განუყრელი თანამგზავრი სურსათ-საქონლის სიმცირე.

რუსეთის ყოველ კუთხეში გაისმის ხმა სურსათის სიძვირესა და სიმცირისაგან წელში მოღუნულ საშუალო მცხოვრებისა. ხუობს იგი ამ სიძვირეს და სთხოვს ყველას, ემუდარება მახლობელს, ძლიერს, სუსტს და გამბედავს, ვისზედაც ეს არის დამოკიდებული, რომ უშველონ მას და, თუ სულ არა, ოდნავ მაინც ააცილონ თავიდან ეს უბედურება.

ყველასათვის ცხადია, რომ სასურსათო კრიზისი დღეს რუსეთში არ არის გამოწვეული არც ბუნების მოვლენებით, და არც ერთიან ომის მიერ შექმნილ უძლეველ გარემოებათაგან, როგორც ეს მოხდა გერმანიაში მოკავშირეთა მიერ მისი გარემოცვის გამოცხადების შემდეგ.

რუსეთში, ყველა, ვისაც კი შეუძლიან და არ შეუძლიან, სცდილობს ისარგებლოს მომენტით და მოიგოს ფული.

ყოველი გვარისა და ჯურის სპეკულიაციის წყალობით, აუტანელი მდგომარეობა შეიქნა.

სპეკულიაციას ქალაქის გამგეობის წევრნიც კი არ ერიდებიან, როგორც ეს რუსეთის რამოდენიმე ქალაქში მოხდა და ხშირად სპეკულიანტები ფასის მომატების მოლოდინში სურსათ-სანოვაგეს ალპობენ და იაფად კი არა ყიდიან.

გერმანიაში და რამდენიმეთ საფრანგეთშიაც სცადეს აღვირ ახსნილ სპეკულიაციის ზრდის შეჩერება და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. მაგ გერმანიაში სხვა და სხვა საქონლის უმეტეს ნაწილი მხოლოდ 25%—28% გაძვირებულა. და ჩვენში კი ერთი ოთხათ და ერთი ხუთად.

ხელოვნურად ფასების აწევა, თავის თავად არ არის დაუძლეველი ჭირი. მაგრამ მის მოსასპობად საჭიროა: 1) ნათელი შეგნება თანამოქალაქის ინტერესებისა, მამულიშვილურ გრძნობასთან დაკავშირებული; 2) საზოგადო ორგანიზაციების ფართე მონაწილეობა სასურსათო საკითხის გადაწყვეტაში და 3) რომელიმე მხნე სახელმწიფო ჭეშმარიტ მოღვაწის დანიშვნა „სასურსათო დიქტატორად.

ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრება ისე მოეწყო უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში, რომ საყოველთაო სწავლების პროექტიც კი ვერ განხორციელდა და და შინაურ პოლიტიკის მესვეურად მარკოვ პურიშკევიჩის ამხანაგები მაკლაკოვები და შეგლოვიტოვები იყვნენ და კაპიტალიურ პოლიტიკას აწარმოებდნენ.

საზოგადოებრივ, ორგანიზაციებისა და კავშირების

ასეთ პირობებში კი რუსეთის მოქალაქენი მოკლებულნი არიან ებრძოლონ სასურსათო კრიზისს და ლაგამი ამოსდონ სპეკულიანტების გაუმაძღრობას. საზოგადოების მუშაობა სასურსათო საკითხის გადაწყვეტაში არ არის მთავრობის მიერ მიჩნეული საჭიროდ. იგი უბრთხის საზოგადოებასთან თანამშრომლობას და ამნაირად კვლავ მოხელეების ხელში რჩება ეს საქმე.

მოხელე კი თავდაპირველად მოხელეა; ის იმის ცდაშია, როგორმე თავის მოვალეობა შეასრულოს და სათანადო მთავრობის ყურადღება დაიმსახუროს.

ხოლო სასურსათო კრიზისის გადასაწყვეტათ ამნაირი მოვალეობის ასრულება არა კმარა. საჭიროა მოქმედების ფართე თავისუფლება მიუნიჭოს ხსენებულ საკითხის გადასაწყვეტათ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს.

ამის მაგივრად რას ვხედავთ?

სასურსათო საქმეს განაგებს მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელსაც თავის საქმეებიც ბლომადა აქვს. სახ. საკითხის გადაწყვეტა იმავე ბიუროკრატებსა აქვთ მინდობილი, რომელნიც ყოველის საქმის გაჭიანურებას არიან მიჩვეულნი და ყოველი მათ მიერ გამომუშავებული ზომა ნაგვიანევი გამოდის: სპეკულიაცია ახალის ხრიკებით სარგებლობს და მთავრობის ღონის ძიებებთან ბრძოლა შინ მუდამ გამარჯვებული რჩება,

მდგომარეობა კი ისეთი შეიქნა, რომ გასაქანი არსაით არის. საკუთარ შრომით ოჯახის რჩენა ყველას უძნელდება. არსებული სიძვირის წყალობით მშრომელი ადამიანის შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს და მისი არსებობა განსაცდელშია.

კატონ კობახიძე.

ქართული ჰრესა.

მემარჯვნეთა მიერ სახ. განათლების მინისტრის გრაფ იგნატიევის გადასაყენებლათ ატეხილ განგაშისა და უმაღლეს სასწავლებლების დღევანდელ უბადრუკ მდგომარეობის შესახებ „თან. აზრი“ მე 217 № ამბობს:

„სახალხო განათლების სამინისტრო ლიბერალური რეპუტაციით სარგებლობს. ამიტომაც არის მას გადაჭრით ებრძვიან მემარჯვენენი და გრაფ იგნატიევის გადაყენებას სცდილობენ. რანაირია ამ „ლიბერალური“ უწყების საქმიანობა, ამას უნივერსიტეტების მდგომარეობა ნათელყოფს.

უმაღლესი სკოლა ქვეყნის კულტურული განვითარების სარკეა. უნივერსიტეტები მეცნიერების აკვანია, ხოლო მეცნიერება საწარმოვო ძალთა განვითარების იარაღია. მოსალოდნელი იყო ომიანობის ხანაში კიდევ უფრო შეეცდებოდენ მეცნიერების ტაძრის გავლენის გაფართოებას და მკვიდრ საფუძველზე აგებას. მარა მოლოდინი გაცრუვდა. „ლიბერალური“ უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს გზას დადგა. გრაფმა იგნატიევმა ისტორიული არხივიდან გამოამზევრა 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდების მუხლი, რომლის ძალით სტუდენტს უფლება ეძლევა მხოლოდ ერთ რომელიმე უნივერსიტეტში შევიდეს. მოსწავლე ახალ გაზდობა განსაკუთრებულ უნივერსიტეტთან მიჯაჭვულია. ძველი საუნივერსიტეტო წესდების მიზანი აშკარაა: ამ გზით სტუდენტობის დაქსაქსვას და სატახტო ქალაქების დაკარიელებას ელტვოდენ . . . .

. . . . . .

სახალხო განათლების სამინისტრომ სტუდენტები განსაკუთრებულ უნივერსიტეტებზე მიაჯაჭვა. თქვენ შეგიძლიათ უმაღლესი სწავლა-განათლება მიიღოთ, მარა მოკლებული ხართ უფლებას თავისი ნებისამებრ ამოირჩიოთ უნივერსიტეტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ განკარგულებამ დიდი არევ დარევა გამოიწვია, რომ აქა—იქ უნივერსიტეტში მრავალი, თავისუფალი ადგილია, ხოლო ზოგიერთი უნივერსიტეტი დიდი ხანია გაივსო და ბევრი მთხოვნელი უადგილოთ დასტოვეს. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას კავკასიის სამოსწავლო ოლქის სტუდენტებზე, რომელთა დიდი ნაწილ მეცნიერების ტაძრის გარეშე დარჩა.

ეს ხელს უწყობს უმაღლესი სკოლის ფინანსიურათ დაუძლურებას. ბევრია სტუდენტები, რომ ბევრია სტუდენტები, ... იქნება უნივერსიტეტების უმეტესობა. ... ამ ეამათ დიდ ძალი სტუდენტობა ომის ველზეა და ამავე დროს ახალ სტუდენტებსაც უნივერსიტეტის კარი დაეხშო. უმაღლესი სკოლა დაცალიერდა. ყველგან ფინანსი ურმა კრიზისმა საშიში ხასიათი მიიღო. კიევის უნივერსიტეტის წლიური დეფიციატი 218 ათას მანეთს უდრის, პეტროგრადის 163 ათას ყაზანის -150 ათასს, ადესის—116 ათასს, ხარკოვის 65 ათასს, მოსკოვის 50 ათასს და სხვ. უმაღლესი სკოლა ეცემა, გაგრძელდება ომი კიდევ ერთი თუ ორი წელი, ძალაში დარჩება განკარგულება, განსაკუთრებული სამოსწავლო ოლქიდან მხოლოდ განსაზღვრული უნივერსიტეტში შესვლის შესახებ და მეცნიერების ტაძარში ანთებული სხვი ჩაქრება.

უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა ჯარში გაწვევა.

ოფიციალური დეკეშა.

პეტროგრადი. 30 სექტემბერი. 1916 წელს 31 იანვრის კანონების ძალით საჭიროთ იქნა გაწვევა სამხედრო სამსახურში უმაღლეს სასწავლებელში მყოფ იმ მოსწავლეებისა, რომელნიც 1897 წელს და უფრო ადრე არიან დაბადებულნი და რომელთაც დროებითი შეღავათი აქვთ მიღებული ან და 1 ოქტომბრამდის უნდა მიეღოთ იგი. გაწვევისაგან განთავისუფლებულნი არიან საექიმო ნაწილისა და საბეითლო ინსტიტუტის სტუდენტები და ყაზახთა წოდების პირნი. ხსენებული სტუდენტები იმ ადგილებში უნდა გამოცხადდნენ სადაც ცხოვრობენ.

ახალი ამბავი.

✦ ბ—ნმა ია ეკალაძემ უკვე დაამთავრა დიდიხნის განზრახული დრამა 5 მოქმედებად, მუშათა ცხოვრებიდან. დრამას ეწოდება „ნაშერი ოცდ ერთი ჯვრით“

ვიდრე გამოაქვეყნებდეს ავტორს აზრათა აქვს მოიწვიოს ადგილობრივი რეჟისორები, არტისტები, ინტელიგენტები, მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი მსჯავრის დასადებად. ამის შემდეგ ეს დრამა დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

✦ ხოლერამ ამ ბოლო დროს ქუთაისშიაც იჩინა თავი. ამის გამო ქალაქის გამგეობა საჭირო ზომების მიღებას უკვე შეუდგა. ქუჩებში გამოკრულია ვრცელი განცხადებები, რომელებშიაც აღნიშნულია ხოლერის წარმომშობი მიზეზები და თუ რა ზომებით უნდა ვებრძოლოთ მის გავრცელებას. გაძლიერებულია სანიტარული კომისიის მუშაობა, შეუდგენ დეზინფექციებს სხვადასხვა საეკვო უბნებში. საჩაიების, რესტორანების, სარძევეების და საკანდიტეროების პატრონები ვალდებულნი არიან იქონიონ სახმარათ ადუღებული წყალი და სხვა.. საჭიროა დიდი სიფრთხილე და მუშაობა, რომ ამ სენმა მასიური და განმანადგურებელი ხასიათი არ მიიღოს.

✦ გერმანიაში გარდაიცვალა ქართველი ტყვე მფრინავი ბერიძე.

✦ მეორე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა მუხინმა პასუხის გებაში მისცა კავკასიის ყველა ის პერიოდული გამოცემანი, რომელნიც მის მოქმედებას შეეხენ. ჯერ-ჯერობით პასუხის გებაში მიცემულია გაზეთი „ჩვ. მეგობარი“

✦ 2 ოქტომბერს ქალაქის სანიტარებმა მწვანე ბაზარში აუარებელი დამპალი პომიდორი აღმოაჩინეს, პომიდორი ექიმის განკარგულებით ჩამოართვეს პატრონებს და სანაგვეში გადაყარეს.

✦ 30 სექტემბრის ცნობით ხოლერით გარდაიცვალა იოსელიანი. ბარაკში გაიგზავნა ხოლერიანი: სარა ციციაშვილი (გელათის ქუჩა) მაია ჩიკვაშვილი (გელათის ქუჩა) დარიკო იამანიძე მოკვდა (ბალახვანის ქუჩა) გაბუნია (ბალახვანის ქუჩა) მოკვდა სილიბისტრო ჭეიშვილი ხოლერის ნიშნებით. ზემოჩამოთვლილ პირების სახლში დეზიანფექციის შემდეგ ყოველ გვარი ნივთები დასწვეს

✦ ქალაქის სასანიტარო ექიმი მაჭავარიანი დაბეჯითებით სთხოვს მცხოვრებთ, თუ სადმე საეჭვო ავათმყოფი აღმოჩნდეს დაუყოვნებლივ აცნობს ამის შესახებ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში.

✦ რედაქციამ მიიღო საბავშო ჟურნალ „ჯეჯილის“ მორიგი ნომერი. ჟურნალი ჩვეულებრივ შინაარსიანათ არის შედგენილი, მივიღეთ აგრეთვე თეატრი და ცხოვრების“ მორიგი ნომერი.

✦ გამოვიდა სამეურნეო ჟურნალ „სოფლო გაზეთის“ მორიგი ნომერი. შიგ მოთავსებულია სხვათა შორის განსვენებულ სტაროსელსკის სურათი და მისი მოღვაწეობის ისტორია. წერილი ვრცლად ეხება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღორძინების საკითხს და იმ დავას, რომელიც მეცნიერთა შორის იყო რუსეთში და კერძოთ კავკასიაში ამერიკულ ვაზის შემოტანის გამო. ჟურნალში სხვა საყურადღებო წერილებიცაა.

✦ ბათუმში, ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის ინიციატივით არსდება მომლერალთა საზოგადოება.

✦ მუშა მექუდე ქალების

წარდგენილია 12

მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება. ჯერ-ჯერობით ხაზეინები არ ფიქრობენ მათს დაკმაყოფილებას. გაფიცვა ერთ სულოვანათ მიმდინარეობს.

✦ ლექცია. კვირას 2 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში ექიმმა ბადრიძემ და ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხეს ლექცია. პირველმა შემდეგ თემაზე. მეჩნიკოვი როგორც მეცნიერი და მოაზრე. მეორემ ქუთაისის ისტორიიდან. ხალხი ბევრი დაესწრო.

✦ ქალაქის სანიტარებმა დათვალიერების შემდეგ, სანიტარული წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინეს შემდეგ ვაჭრებს: პლატონ ჯავახაძეს, დიომიდე გაბრიაძეს, იოსებ ფხაკაძეს, ერმილე ცანციძეს და ივანე ბეკაიას. მეპურეებს: ბესარიონ ლეკვინაძეს, ალექსანდრე ბაბუნაშვილს და იაგორ ცაგარეიშვილს. მეთორნეებს: სერაფიონ დვალს, ანტონ ჭელიძეს ანთიმოზ ლომთაძეს. მჭედლებს! ნიკიფორე ჩიმაკაძეს ბიჭია ბენიძეს. სასადილოს პატრონს სამსონ ჯავახაძეს.

✦ სოკო „ნიყვის“ მსხვერპლი. სადგურ რკვიაში (ჭიათურის შტო) ვინმე იოსელიანს უყიდია სოკო „ნიყვი“, რომელიც ამ ჟამად იქ ბლომათ იყიდება, რის მსხვერპლიც გამხდარა ეს უბედური სოკო „ნიყვს“ მოუწამლავს იოსელიანი, რომელიც აქ მოასვენეს და უკვე დაასაფლავეს. აღსანიშნავია რომ ასეთ საეჭვო ღირსების სოკოების გაყიდვას სოფელში ყურადღებას არვინ აქცევს, რის მსხვერპლი არა ერთი და ორი ადამიანი გამხთარა თუ დროზე ყურადღება არ მიექცა ამას, მოსალოდნელია კვლავ ბევრი იმსხვერპლოს.

✦ შორაპნის მაზრაში, ამას წინათ თავისმა ამხანაგმა მოჰკლა ცნობილი ყაჩაღი ჭანკვეტაძე

ჭიათურის მადნები.

როგორც მკითხველებმა უწყიან გერმანელი ქვეშევრდომების ჭიათურის შავი ქვის წარმოებას (გელზენკირხენის საზოგადოება) მთავრობა ლიკვიდაციას უშვებდა და ამ დიდ ქონებას რამოდენიმე მი-

---

გოგებაშვილმაც ჩვეულებრივი გინებისა და შეჩვენების მაგიერ, მოწონების ხმა გაგვაგონა: „ჩინებული სახელმძღვანელო შეგვეძინაო, უთხრა განსვენებულმა, ერთ დაახლოებულ მასწავლებელს ჩვენდა გადმოსაცემად, ესეც არ გვაკმარა მცხოვანმა პედაგოგმა: რამოდენიმე „სტატია“ ჩვენი სახელმძღვანელოდან თავის „ბუნების“ კარში შეიტანა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „გუთანი“ პირველად ასცდა ხელოვნურად შექმნილს დაბრკოლებას. იგი ორი ათასოთხასი ცალი დაიბეჭდა და წლის ბოლოს ერთიც ილარ დარჩენილა; მალე მეორე გამოცემას შევუდექით. დაისტამბა ოთხი ათასი და ესეც ორი წლის განმავლობაში გაიყიდა: შეგნებული მასწავლებლებისაგან ქება კი და გინება არ გაგვიგონია.

ამ გარემოებამ გაგვამხნევა და მესამე გამოცემაში ილუსტრაციებიც საკმაოდ შევიტანეთ; გონიერი შენიშვნების მიხედვით, რაც გასასწორებლათ მივვაჩნდა, გავასწორეთ და ექვსი ათასი დავბეჭდეთ; ახლაც ისე, როგორც წინეთ, რაციონალურად მოწყობილ შკოლებში, სადაც ჯიუტობის ტრადიცია არაა გამეფებული, სადაც ლ. ბოცვაძის კარანტინი მასწავლებლის უგნურებით არაა გამაგრებული, სახელმძღვანელო ფეხს იკიდებს. შარშან და წელს თითქმის სულ გაიყიდა და ახლა მეოთხე გამოცემას ვამზადებთ.

მაგრამ ეს ერთი წელიწადია, რაც დიდი მტერი გადაეკიდა ჩვენს სახელმძღვანელოს: მოგეხსენებათ, რომ გოგებაშვილის გადაცვალების შემდეგ მისი სახელმძღვანელოები, განსვენებულის ანდერძისამებრ, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ხვდა და ამ სახელმძღვანელოების გამდლად საზოგადოების გამგეობამ ბატ. ბოცვაძე დაიყენა.

და ახლა, ვიდრე ბატ. ბოცვაძე შესაფერ გამდლობას გაუწევს ხსენებულ წიგნებს, ამ უებარ მდადეს, როგორც ბოროტი ენები ამბობენ რიგიანი ჰონორარი მიეცემა და საზოგადოებასაც კარგი შემოსავალი ექნება.

მდადე-გამდელი, კარგათ მოგეხსენებათ, რამდენად დაინტერესებული უნდა იყოს ნივთიერი მხრით და, კონკურენციის შიშის გამო, ხან ია ნარიძეებს, ხან ვახაბერიძეს და ხან ბზვანელებს მოგვისევს ხოლმე „გუთნის“ წკიპურტების ასაყოლებლათ.

და ეს წკიპურტები მით უფრო ემარჯვება, მას რომ ჟურნალი განათლება ხელთ აქვს:

იმდენად გაკადნიერდა ჟურნალის რედაქტორი ამ უკანასკნელ დროს, რომ როცა „გუთნის“ მაგინებელი, ერთი ახირებული კრიტიკოსის საპასუხო წერილის „სამშობლო“ დან გადაბეჭდვა ვსთხოვეთ დიდი უარი გვიბრძანა. ამას „სამეცნიერო“ ჟურნალის რედაქტორი თუ იქმოდა, თორემ სხვა გვარი რედაქტორისაგან არავინ არ უნდა მოელოდეს.

„გუთნის ავტორები“

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიონათ ღირებულს საჯარო ვაჭრობით გაყიდვას უპირობს.

ამ 50—60 წლის წინეთ ვინ იფიქრებდა თუ ჭიათურის კლდე ღრეები მილიარდი ეღირებოდა, ის კი არა ამ დროს მთელ ჭიათურის რაიონს და მის შავ ქვას სულ დიდი დიდი ათას თუმანში შეიძენდა ჭკვიანი და მცოდნე კაცი. ან კი ვის უნდოდა მაშინ შავი ქვა, რა ხილი იყო ის, ან რისთვის გამოსადეგი ვინ იცოდა.—

თუ მეზობელი მეზობელს რამეს აწყენინებდა „უი შენდა შავი ქვაო, მიაწყევლიდენ, ისეთი დრო იყო მაშინ. მარა გაიარა დრომ, გადავარდა ბატონმყობა, გლეხი განთავისუფლდა ბატონის კლანჭებისაგან და თავისუფლათ იწყო ცხოვრება, და აი, ამ თავისუფალმა გლეხმა თავის ნაბატონარს, ჩვენს დიდებულ მგოსანს აკაკის, რომელიც ის იყო რუსეთიდან სწავლით აღჭურვილი ჩამოსულიყო სამშობლოში, შავი ქვის ნატეხი მიუტანა და მოახსენა: „ბატონო, ამ ქვიდან რამე კი უნდა გამოდნესო და თქვენ ნასწავლი ხართ და ნახეთო“. და აი სწორედ მას შემდეგ ყველასაგან უვარგისად ცნობილი და საწყევარი შავი ქვა, ჩვენი საყვარელი მგოსნის შრომით და მეცადინეობით ძვირფასი მარგალიტი შეიქნა და მას შემდეგ ყველამ შინაურმა და გარეულმა (უფრო კი გარეულმა) თვალები აუყიტეს და და ბუზივით მიესიენ ჭიათურას შავი ქვის მადნების შესაძენათ და კიდევაც სულ მცირე დროში, ჩვენი თავადების წინ დაუხედველობით, უდიდესი ნაწილი ამ ძვირფასი მადნისა, ჩალის ფასათ ჩაუვარდათ ხელში უცხო ტომთ: ბერძნებს, სომხებს და გერმანელებს, ხოლო ჩვენებს, ნამდვილ პატრონებს კი შერჩათ ხელში მარტო „рожки да ножки“ (რქებიდა ჩლიქები).

ეხლა რაკი შემთხვევამ მოიტანა და ეს ძვირფასი მამული, ჩვენი მამა-პაპების მიერ სისხლით დაცული, ხოლო ჩვენი თავადების მიერ ჩალის ფასათ დაკარგული, დღეს საჯარო ვაჭრობით უნდა გაიყიდოს. ნუ ვიზამთ კიდევ მეორე შეცდომას და ნუ ჩავუგდებთ მას ხელში უცხო ტომის კაპიტალისტებს.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენვე დავიბრუნოთ და ჩვენვე ვაწარმოვოთ. ამის უფლება ყველაზე უფრო ჩვენ გვეკუთვნის და ამისათვის ფულიც საკმაოთ მოიძებნება ჩვენში—ჩვენს კაპიტალისტებ შორის. მე ვგულისხმობ ჩვენს ბაქოელთ ქართველებს ბ. ბ. აკაკი ხოშტარიას, ზუბალაშვილს, მანსვეტაშვილს, დადიანს ჯაყელს, და სხვებს. აგრეთვე თფილისელ და ქუთაისელ კაპიტალისტებს: სვანიშვილს, ფორაქიშვილს ძეგველიშვილს გოკიელს ოცხელს და სხვ.

იმედია ეს პატივცემულნი პირნი, თუ მართლა მათ მამულის სიყვარული საქმით სურთ დაამტკიცონ, ან ცალკცალკე და ან ერთად შეკთდებიან და შეიძენენ ჭიათურის უძვირფასეს მადნებს და სამშობლო კუთხეში გააჩაღებენ დიდათ მოსაგებიან წარმოებას და ჩვენს ჩამორჩენილ კუთხეს ააყვავებენ.

30 წლის იქნება, რაც უცხო კაპიტალისტებს ჭიათურის კალთებიდან აუარებელი სიმდიდრე გააქვთ თავიანთ სამშობლოში და აბა ნახეთ სამაგიერო თუ რამე და უტოვებიათ მათ ჩვენში. სრულიად არაფერი. და ეს არც გასაკვირალია, ვინაიდან მათ, როგორც ნათქვამია: „სხვისი ჭირი, ლობის ჩხირათ“ მიაჩნიათ.

ეჭვი არ არის ომის შემდეგ ჭიათურის წარმოება უფრო გაორკეცებული ნაბიჯით წავა წინ, და ადვილათ შესაძლებელია მარგანეცის გადასადუღებელი და დასამუშავებელი ქარხნებიც ქუთაისშივე მოეწყოს მით უმეტეს, რომ ქუთაისის გაშლილი ვაკეც ხელს უწყობს ამას და ქვის ნახშირიც გვერდში გვაქვს (ტყიბულში).

გარდა ამისა, როგორც გავიგეთ, ამიერკავკასიის რკინის გზის მმართველობას, ომის შემდეგ გადაწყვეტილი აქვს ხაშურიდან სამტრედიამდი მეორე ლიანდაგი გაიყვანოსო, და აი, მაშინ მართებს დიდი მხნეობა და შრომა ჩვენს ქალაქის მამებს და მარშლებს, რომ ამ მეორე ლიანდაგმა ყვირილიდან პირდაპირ ქუთაისზე გაიაროს შემდეგი მიმართულებით: ყვირილა, სიმონეთი, გოდოგანი, ქუთაისი და სამტრედია. გზის ასეთი მიმართულებით ამიერ კავკასიის რკინის გზის მართველობას ასცილდება ორი დიდი ხიდის (სვირის და აჯამეთის) გასაკეთებელი ხარჯი ერთ მილიონ მანეთზე მეტი და გზაც უფრო მოკლე იქნება.

აი, ყველა ეს გარემოება უნდა გაით ვალისწინონ ჩვენმა კაპიტალისტებმა და ხელიდან არ უნდა გაუშვან ჭიათურის ძვირფასი მადნები.

ვასილ მასხულია

რუსეთი.

——

მოსკოვში დახურეს ერთად ერთი თათრული გაზეთი „სოზი“.

——

ბალტიის ფლოტის უფროსად უმაღლესი ბრძანებით ნაცვლად ადმირალ კანინისა დაინიშნა ვიცე-ადმირალი ნეკენინი.

——

პეტროკოვის ციხეში გარდაცვლილა ჩენსტოხოვის მონასტრის გამძარცველი ცნობილი ბერი დომაზი მაცოხი.

——

შინაგან საქმეთა მინისტრმა პროტოპოპოვმა დაამტკიცა პოლიციის რეფორმის ახალი პროექტი. პოლიციემეისტრები უეჭველად საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულნი უნდა იყვნენ, ხოლო საოდუმლო პოლიციის უფროსები კი—უმაღლეს სასწავლებლის კურს დამთავრებულნი. პოლიციელებს, საერთოდ ყველას ჯამაგირს ერთი ორად უდიდებენ. ეს რეფორმა ეხება მხოლოდ ევროპის რუსეთს.

——

ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშით ხარჯებს გაადიდებს 92 მილიონი მანეთით.

——

უწმინდესმა სინოდმა განიხილა სამხედრო სამინისტროს წინადადება, რომელიც საჭიროდ სცნობს ჯარში გაწვეულთ და ჯარიდან დროებით განთავისუფლებულებს სრულებით აუკრძალონ ჯვრის წერა, გარდა იმ ქვრივებისა, რომელთაც ბავშვები ყავთ და მათი მომვლელი კი არავინ გააჩნიათ.

——

მოსკოვის სასამართლო პალატის მეორე დეპარტამენტში ამ ჟამად ირჩევა პოლონელ რევოლიუციონერთა ბრბოს საქმე მათ ბრალად ედებათ 11 მკვლელობა და თავსდასხმა. ხსენებული ბრბო დაყოფილი იყო რაზმებად თითო რაზმს 6 კაცი შეადგენდა. რევოლიუციონერთა ბრბო თავის დროზედ შიშის ზარს სცემდა მთელს პოლონეთს.

——

ფინანსთა სამინისტომ სპარსეთში ასანთის გაზიდვა ერთიანად აკრძალა.

——

ოდესაში კიდევ აღმოუჩენიათ დიდ ძალი გადამალული სურსათი და სხვა პირველ საჭიროების საქონელი.

——

ელისოვეტომრადის ქალაქის საბჭოს და უდგენია, რომ აუტანელ სიძვირის გამო თავის მოსამსახურეებს ჯამაგირი 50% მოუმატოს.

——

სამხრეთ რუსეთის ტეხნოლოგთა საზოგადოებამ სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ქ. ხარკოვში ქალთა უმაღლესი პოლიტეხნიკური კურსები იქნეს დაარსებული. ამ შუამდგომლობას მხარს უჭერს სახ. საბჭოც.

უცხოეთი.

——

თანახმად მიუნხენიდან სტოკჰოლმში მოსულ ცნობებისა ბავარიის მეფე ოტტონი გარდაცვლილა.

——

საბერძნეთის მეფემ ახალი მინისტრთა კაბინეტი მოწვია. პირველ მინისტრად პროფესორი ლამბროსი. ბერძნულ გაზეთების სიტყვით ახალი სამინისტრო ძალიან მოსაქმე იქნება. ამის თავდებათ შიგ შესულ მინისტრების შრომა მოყვარეობას განათლებას და ცხოვრების პრაკტიკულ შეხედულებას ასახელებენ: პროფ. ლამბროსი, გერმანოფილია და კაბინეტის წევრებათ მისი თანამოაზრენი ყოფილან.

——

ეხლახან შემდგარ სკანდინავიის ქალთა საერთო კონგრესზე დადგენილ იქნა. ეცადნენ როგორმე და მოიწვიონ ნეიტრალ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ყრილობა ზავის ჩამოსაგდებათ.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი

გეორს, 2 ოქტომბერს სახ. უნ—ტის გაგების თანხმობით, ქალაქის თეატრში გამართა დექტორების კითხვა. მსმენელთა რიცხვი საკმაოდ იყო მიუხედავათ ცუდი ამინდებისა.

პირველად დექტორი წაიკითხა ექიმმა გ. ბადრაძემ შემდეგ თემაზე: **პროფესორი ილ. მეჩნიკოვი, როგორც მეცნიერი და მოაზრე.** ეველასთვის გასაგები და მარტივი ენით დექტორმა აუხსნა აუდიტორიას ახლად გარდაცვალებული იდეა მეცნიერების ლეგენდარიობის წინაშე.

დამსწრე საზოგადოებამ ყურადღებით მოისმინა გ. ბადრაძის დექტორი და დექტორი ტაშის ტემით დაჯილდოვა.

მეორე დექტორი წაიკითხა ბ. ად. გარსევანიშვილმა. აუდიტორიას მან ტაშის ტემით მიეგება. მისი დექტორი ქუთაისის წარსულიდან მეტად საინტერესო აღმოჩნდა, მატერიალურმა დექტორმა დაგვისურათა ქუთაისის ისტორია უძველეს დროიდან 1852—3 წლამდი. ბევრი საგულისხმო ცნობები მოგვისმინეთ სახელწოდება „ქუთაისიო“, როგორც ეროფესორ **მარრ**ა. დამტკიცა, წარმოსდგება აბხაზურ სიტყვიდან „**ძუთათი**“. რაც ნიშნავს შემოზღუდულს, გამაგრებულ ადგილს. ამ ქალაქმა თავის ხანგრძლივ ისტორიაში ბევრი საშინელი წამი გამოსცადა. დექტორმა აგვიწერა ის ტანჯვა, რომელიც გამოიარა ქუთაისმა სხვა და სხვა დროს. ვის არ დაუგრეავა ჩვენი ლეა ქალაქი: სელჯუკები, მონგოლები, სვანები, ოსმალები და სხ. მალ-მალე მოდიოდენ აქ და ძირიან ფესვიანად ოხრებდენ რუსების მოსვლამდი ქუთაისი ოსმალეთის ხელში ეოფილა. 1770 წ. სოლომონ დიდმა რუსების შემწეობით სამეფოთ განდევნა ქუთაისიდან ოსმალები. 1810 წელს კი აქ დაბინაუდა რუსის ჯარი. რუსის მთავრობამ შემდეგ ადიარა ქუთაისი საგუბერნიო ქალაქად

დექტორმა დაწვრილებით აგვიწერა ქუთაისის სურათი 1852—3 წლებში. მაშინ მცხოვრებთა რიცხვი ოთხი ათასამდი ადიოდა. უმთავრესად სცხოვრობდენ ქართველობა და ებრაელები ქალაქი ამ დროს ძალიან დარიბი ეოფილა.

საინტერესო ის იყო ნაწილი დექტორისა, სადაც მოყვანილი იყო ნიხრი ბათმანი სამინდი—**ერთი აბაზი**, ბათმანი ეურძენი—**ოური შაური**, ჩაფი ღვინო ოჯახელებისა—ექვსი შაურიდამ ათ შაურამდი. იაფი ეოფილა ხე-ტყის მასალაც. შემდეგ დექტორმა ჩამოთვალა ხელოსანთა რიცხვი და ზოგიერთი მათი დახასიათებით ბევრიც გვატინა. საინტერესო ცნობები მოგვცა ბირველი შკოლების გახსნის შესახებაც და ბოლოს უსურვა უძველეს ქალაქ ქუთაისს სრული წარმატება და ვაჭრობა-მრეწველობის აეგაეგუა.

მსმენელებმა დექტორი მხურვალე ტაშის ტემით დაჯილდოვეს.

შემდეგი დექტორები იქნება 9 ოქტომბერს წაიკითხავენ გრ. გიორგაძე და ვლ. ემუხვარი.

ახალგაზდა ქუთათური.

ცხოველებიც შევიგრალოთ!

დღეს ბევრი სხვა და სხვა გვარი კულტურულ განმანათლებელი და საქველმოქმედო საზოგადოებანი არსებობენ ჩვენში, ბევრიც არსდება და ამდენხანს არავის არ მოსვლია აზრად დაეარსებია ისეთი სიმპატიური და დიდმნიშვნელოვანი საზოგადოება, როგორც არის „ცხოველთა მფარველი საზოგადოება“; ამას წინად წავიკითხე, რომ განუზრახავთ ქუთაისში დაარსონ ასეთი საზოგადოება, რომელსაც სიამოვნებით უნდა შევეგებოთ. თითოელი ჩვენთაგანი ყოველ დღე, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, შეხვდება ეტლებში გაბმულ დასახიჩრებულ—დაბრმავებულ ცხენებს, რომლებიც ძლივსღა მიათრევენ უზომოდ დატვირთულ დროგებსა და ურმებს; მეეტლეები შეუბრალებლად სცემენ მათ თავში მათრახის ტარით; ხშირად ნახავთ აგრეთვე თუ სოფლიდან ჩამოსული გლეხი, როგორ უწყალოდ სცემს სახრით თავ პირში ურემში შებმულ ხარებს, რომლებსაც ხიდზე გავლა ეუცხოებათ, ან ფიცარი მოსოვლებულია და ფეხები ვერ მოუმაგრებიათ. ქუთაისში პირუტყვთა წამებას ხშირად წაიწყდებით ბალახვნის ქუჩაზე: ქალაქის სასაკლაოდან მომავალ „ტაკკებში“ შებმულ დაკოჭლებულ-დაბრმავებულ ცხენს მათრახითაც სცემენ და წიხლებითაც უმასპინძლდებიან, თან უკან აუარებელი ბავშვი დადევნებია და იქეთ აქეთ უწიკავებენ საცოდავ პირუტყვს; ნაგავის გადამტანი მეურმეებიც ხანდახან ნიჩბის ტარებით მიდენიან ცხენებს. ნუ თუ არ არიან შებრალების ღირსნი საბრალო ცხოველები?!....

განა არ კმარა, რომ ისინი პირუტყვებია და თავისი გაჭირვების გამოთქმა არ შეუძლიათ?! თუმცა პოლიციის მოხელეებს დავალებული აქვთ ყურადღება მიაქციონ ცხოველებს, მაგრამ მათ თავისი პირდაპირი მოვალეობაც ეყოფათ და პირუტყვთათვის სადღა სცალიათ?!

დაათვალირეთ პროვინციებში მიმავალი დელეეანები ბ ლინეიკები, რომლებშიაც ექვსი-რვა ადგილია, მაგრამ მიუხედავად ამისა მეეტლები ექვსსა და რვას კიდევ კოფო-სახურავზე შემოიჯენენ გზებში; პირუტყვებს ისინი ანგარიშს არ უწევენ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კეთილი განზრახვა მალე განხორციელდება და უენო ცხოველთაც გამოჩნდებათ მფარველნი და თანამგრძნობნი.

ალდო ბზვასული.

პროვინციის ცხოვრება.

ს. მათხოჯი. (სამეგრელო). 20—25 წლიწადია მას შემდეგ, რაც მდინარე ცხენისწყლის ნაპირის მცხოვრებლებს მოეკლინენ კაპიტალისტები, რომლებიც თავიანთ უმსგავსო მოქმედებათ მთლათ დედა-მიწაზე ასწორებენ მათ.

ამ ვაუბატონების შეძენილი აქვთ ტეე მოსაჭრელათ, ეოფილ სამეგრელოს მთავრისაგან. ზემო სვანეთში ხეები მიაქვთ დანიშნულ ადგილამდის.

მდინარე ცხენისწყალი ამ ხეების წყალობით კალმით აუწერელ ზარალს აყენებს მის ნაპირა მცხოვრებლებს. ხეები მდინარეს აგუბებენ, ადიდებული მდინარე აწვება ნაპირებს, თანდათან გლეჯს ნათეს-ნაშრომს ეანებს და რამდენიმე ქცევობით ანადგურებს, გამოუდგარ რიუეთ ჭქმნის და ავერანებს.

მდინარე ცხენის-წყლის პირათ მდებარე სოფლების მცხოვრებლები უკიდურეს გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი. სუკეთესო ოჯახის შვილები ბრძოლის ველზე არიან გასული. ადგილ-მამული ბევრგან დაუმუშავებული დარჩა და რაც დამუშავებულია იმასაც მდინარე რიუეთ ჭქმნის. ბევრ ადგილს მთლათ ოჯახებსაც ანადგურებს.

ხე-ტყის მრეწველები კარგათ ხედავენ ამას, მაგრამ ეურჩსაც არ იბეჭტენ ეენ და ეს იმიტომ რომ ამ ვაჟ-ბატონებს [illegible] აქვთ. ამ საშინელ ოფით [illegible] ურებლები კი, [illegible] ლიათ თავი გამოაბან საქმეს და იჩივლონ, საღაც ჯერ არს. ამას კარგათ გრძნობენ ხე-ტყის მრეწველებს, რომელთაც გლეხებმა თუ რამე უთხრეს, ისინი უპასუხებენ: „ნებართვა გვაქვს მთავარ მართველისაგან“. შეუძლებელია, ასეთ ადამიანებს, რომელნიც დამქცეველის როლს თამაშობენ მდინარე ცხენის-წყლის ნაპირებზე, ამგვარი ნებართვა ეძლეოდეთ.

საწყინოა ამ ამბავს ყურადღება მიაქციოს ვინც ჯერ არს. გრ. ერ. ჭ—შვილი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს. 25 წ.	
„	— საღამ.	— 8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 40	„
„	— ღამის	— 2 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 00	„
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. —	„
„	— ღამის	— 12 ს. 15	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 3	„
„	— დილის	— 5 ს. 55	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისკენ	— დილის	— 8 ს. 13	„
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს. 18	„

მუშაობს ხრესილის მადნეული ფულის ძმ. ჭოტჭოლაძეების სამკურნალო

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისოვნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოიოხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ბაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყის შივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის საავთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოკულიარული ბარუშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწერავთ. ეველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მოამხიჩა სრული სისადე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან